



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იოანე

იოანე ეპისკოპოსი, XV ს. საეკლესიო მოღვაწე, მანგლელ-თბილელი ეპისკოპოსი (ისტ. წყაროები მიტროპოლიტადაც მოიხსენიებს).

1437-39 ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების მონაწილე, გრიგოლ ეპისკოპოსსა და ერთ ქართვ. დიდებულთან (სახელი უცნობია) ერთად საქართვ. დელეგაციის აქტ. წევრი და ხელმძღვანელი. რომის პაპის ჩანაფიქრით, უნდა მომხდარიყო კათოლ. და ქართ. მართლმადიდებელი ეკლესიების გაერთიანება, რაც ფაქტობრივად ვატიკანის პოლიტ. ბატონობის აღიარებას ნიშნავდა. ქართ. დელეგაცია დარწმუნდა, რომ პაპისაგან საქართველო რეალურ დახმარებას ვერ მიიღებდა, ამიტომ მათ გაერთიანების აქტს ხელი არ მოაწერეს. საეკლ. კრების დროს დელეგაციის წევრებზე ფიზ. ზემოქმედებისა და ძალდატანების საშიშროება შეიქმნა, ამიტომ გრიგოლ ეპისკოპოსმა შეკრება მიატოვა და საქართველოში დაბრუნდა. ი-მ ღარიბის ტანსაცმელი გადაიცვა და იტალიაში იმოგზაურა პაპის პოლიტიკის მხილების მიზნით.

ლიტ.: ჟ უ ჟ უ ნ ა ძ ე ო., XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის, კრ.: ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, I, თბ., 1970.

დ. ნინიძე.
